საკასაციო საჩივარი
ადმინისტრაციულ საქმეზე

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

კასატორი: შენიშვნა-1

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"	204952767	თბილისი, ფალიაშვილის ქ.№27/29, მე-2 სართული
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შენიშვნა-2
ალტერნატიული მისამართი შენიშვნა-3		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	29 27 73		22 38 74	greenalt@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

კასატორის წარმომადგენელი: შენიშვნა-4

ნინო გუჯარაიძე	01015010047	თბილისი, ბაქრაძის 19
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
		თბილისი. ფალიაშვილის ქ.№27/29, მე-2 სართული
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	29 27 73	899 90 25 20	22 38 74	ngujaraidze@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარე: შენიშვნა-5

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		თბილისი, ჭანტურიას ქ.№12
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შენიშვნა-6
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	99 10 11		92 18 45	ministry@economy.ge
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: შენიშვნა-7

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

...

გასაჩივრებული გადაწყვეტილება

შენიშვნა-9

სასამართლოს დასახელება:	თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
მომხსენებელი მოსამართლე:	ქეთევან დუგლაძე
საქმის ნომერი:	3ბ/2429-10
მიღების თარიღი:	29 დეკემბერი 2010 წ

გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:

სრულად	☒
ნაწილობრივ	☐

რომელ ნაწილში?

შენიშვნა-10

საკასაციო მოთხოვნა (განაცხადი):

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 დეკემბრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სრულად დაკმაყოფილდება სარჩელი.

შენიშვნა-11

კასაციის საფუძვლები (მიზეზები)

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-12

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:	
☐	საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
☐	გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
☒	გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
☒	გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
☐	გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
☐	საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება: გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების შესახებ დასაბუთება წარმოდგენილია გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ უსწორობებზე მითითებით.

დარღვევები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

შენიშვნა-13 შენიშვნა-14

1. გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრებში (საქმეზე წარმოდგენილია მხოლოდ ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას სააპელაციო საჩივარი, ამდენად, გაუგებარია კიდევ რომელი სააპელაციო საჩივარი შეისწავლა გულმოდგინედ სააპელაციო სასამართლომ) მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.2 მუხლის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სასამართლოს არ შეუძლია მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნების გაზიარების შესახებ ზოგადი მითითებით შემოიფარგლოს. ნორმის ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებს და სასამართლოს, როგორც პირის ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალების მიზნებს. სსკ-ის 390.2 მუხლის "ბ" პუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. «მოკლე დასაბუთება» არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არამცდაარამც არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების (ნებისმიერი ინსტანციის

სასამართლოს) სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დაკვნებს, შეიძლება ეს შეფასებები და დასკვნები არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში სასამართლოს არანაირი შეფასება, დასკვნა და დასაბუთება არ არის წარმოდგენილი. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 390-ე მუხლი და არ გამოიყენა სსკ-ის 249-ე მუხლი.

2. სასამართლომ არ გამოიყენა «ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის» ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული განჩინება საერთოდ არ შეიცავს არანაირ დასაბუთებას მიგვაჩნია, რომ სასამართლომ უხეშად დაარღვია აღნიშნული საერთაშორისო აქტის მითითებული ნორმის მოთხოვნები.

3. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები, რომ არ გაითვალისწინა და საერთოდ არ იმსჯელა სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილ საფუძვლიან პრეტენზიებთან დაკავშირებით, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონის დარღვევით გამოტანილად მიჩნევის საფუძველს წარმოადგენდა. კერძოდ:

ა) სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილ პრეტენზიაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ განსახილველი დავის გადაწყვეტისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - სზაკ-ის 27-ე სეკუნდა მუხლის მე-5 პუნქტი, 30-ე მუხლი. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ისე მიიჩნია, რომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია წარმოადგენდა კომერციულ საიდუმლოებას, რომ არ იმსჯელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მიღებული იყო თუ არა გადაწყვეტილება ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოდ მიჩნევის შესახებ, ანუ დაცული იყო თუ არა მხარის მიერ სზაკ-ის მიერ საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლო ინფორმაციად მიჩნევისათვის კანონით დადგენილი პროცედურები. საგულისხმოა, რომ საქმეში არ მოიპოვება აღნიშნულის დამდასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

ბ) სააპელაციო სასამართლომ ასევე არ იმსჯელა სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილ პრეტენზიაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი - სზაკ-ის 42- ემუხლის "ა" პუნქტი როგორც გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ემუქრება ადამიანთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე დაუშვებელია გასაიდუმლოვდეს ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ანუ ეს შეიძლება იყოს როგორც ინფორმაცია უშუალოდ გარემოს მდგომარეობის შესახებ, ასევე იმ გეგმების ან/და ღონისძიებების შესახებ, რომელმაც შესაძლოა საფრთხე

შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

გ) სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსის) კონვენციის მეორე მუხლი, რომლის თანახმად გარემოსდაცვითი ინფორმაცია გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას. ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:
(ა) გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორიც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზაციები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება;
(ბ) ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ნივთიერებები, ენერგია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში, კანონმდებლობა, გეგმები და პროგრამები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს ზემოთ ა) ქვეპარაგრაფში ჩამოთვლილ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე, ხარჯ-მოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას;
(გ) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების, კულტურული ობიექტების და შენობა-ნაგებობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდენს გარემოს შემადგენელ ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მეშვეობით ზემოთ (ბ) ქვეპარაგრაფში მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები.”

სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეეხება გარემოს დაცვით საკითხებს იგი მოიცავს კომერციული წილების გასხვისების სფეროს, მეწარმე სუბიექტების მიერ განხორციელებულ ფინანსურ ვალდებულებებს და მისი გაცემის კანონისმიერი ვალდებულება სცდება სამინისტროს კომპეტენციის სფეროს, ამასთან, ვინაიდან 2008 წლის 14 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულება, დანართებით და 2009 წლის 22 დეკემბრის შეთანხმება შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას, ხოლო ხელშეკრულების 14.1. და 12.4. მუხლების დანაწესიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ აიღო ვალდებულება არ გასცეს აღნიშნული ინფორმაცია სხვა მხარეების წერილობითი თანხმობის გაცემის გარეშე მიუთითებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უარის კანონიერებაზე და აღნიშნული საფუძვლით გამორიცხავს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივ შესაძლებლობას; ხელშეკრულების 14.1 და 12.4 პუნქტები არ შეიძლება ჩაითვალოს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებად ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოდ მიჩნევის შესახებ, ამდენად, გაუგებარია საუბარი ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაზე, რომელზედაც მიუთითებს სააპელაციო სასამართლო. მას შემდეგ, რაც საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე განთავსებული იქნა საჯარო გაცნობისათვის წილის ნასყიდობის შესახებ 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულება, რომელიც მოსარჩელემ მთავარ სხდომაზე წარუდგინა საქმის განმხილველ საქალაქო სასამართლოს, ხოლო საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე ასევე საჯარო გაცნობისათვის 2010 წლის დეკემბერში (საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას) განთავსებული იქნა მითითებული ხელშეკრულების დანართები, რომლებიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, მით უფრო გაუგებარია, სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განმარტება მასზედ, რომ არც 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულება არც 2009 წლის 22 დეკემბრის №1 შეთანხმება და არც ამ ხელშეკრულების დანართები არ შეიცავენ გარემოსდაცვით ინფორმაციას. ფაქტიურად საჯაროდაა გამოქვეყნებული საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე მხარის მიერ საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნილი ინფორმაცია, რომელიც ნამდვილად გარემოსდაცვითი ინფორმაციაა და მაშასადამე საჯარო ინფორმაციაა და რომელსაც ადმინისტრაციული ორგანოს ყოვლად დაუსაბუთებელ მოსაზრებებზე დაყრდნობით ასევე კომერციულ საიდუმლოდ დაჟინებით მიიჩნევს როგორც პირველი ინსტანციის, ისე მეორე ინსტანციის სასამართლო. ეს ყოველივე ადასტურებს საერთო სასამართლოების მიერ საერთაშორისო ევროკონვენციით აღიარებული მხარის სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას. ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად წარმოგიდგენთ

ხელშეკრულებისა და დანართების იმ ნორმებს, რომლებიც გარემოსდაცვით ინფორმაციას შეიცავს:

ხელშეკრულების 7.6. მუხლი დ) ქვეპუნქტის თანახმად: „„მყიდველი“ აცნობიერებს და აღიარებს, რომ „საწარმოების“ და „კომპანიის“ წილების გასხვისების მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასამელი წყლით მომარაგების გაუმჯობესება გარემოზე ზიანის მიუყენებლად“ - ანუ, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება, ამ მიზნის მისაღწევად განხორციელებული ქმედების (საწარმოების გასხვისების) შესახებ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტია.

ის რომ მსგავსი ინფორმაციას აქვს გარემოსდაცვითი ღირებულება აღნიშნულია “გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ” (ორჰუსის) კონვენციის მე-2 მუხლში, რომლის თანახმად, ინფორმაცია ისეთ საკითხზე, როგორიცაა (1) წყლის, როგორც გარემოს შემადგენელი ელემენტის მდგომარეობა; (2) ისეთი მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, გეგმები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს წყლის (გარემოს შემადგენელ ელემენტზე) მდგომარეობაზე და (3) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდენს წყლის მდგომარეობა ან წყალთან დაკავშირებული ქმედებები ან ღონისძიებები - წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების თანახმად, შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყალის” სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილები მყიდველს გადაეცა მთელი რიგი პირობებით, რომლებიც პირდაპირ კავშირშია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. ასე მაგალითად:

მუხლი 11.2 მომსახურებების გაწევა
მას შემდეგ რაც მყიდველი წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად საკუთარ თავზე აიღებს „კომპანიის“ და „საწარმოების“ მართავს მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს რომ „კომპანია“ და „საწარმოები“:
ბ) დაიცავენ მოქმედ კანონმდებლობას (მათ შორის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში), განსაკუთრებით საფრთხის შემცველ ადგილმდებარეობებთან ურთიერთობისა და საშიშ ნივთიერებაზე ხელით შეხების დროს, მათ შორის იგულისხმება დაქლორვის დანადგარების, მაღალი ძაბვის, ამწე მოწყობილობებისა და შეკუმშული აირის ბალონების და ინსტრუმენტების კომპლექტის ადგილმდებარეობა, აგრეთვე საშიში ქიმიკატების შენახვის მეთოდები, და უნდა უზრუნველყოს ადგილი უსაფრთხო და პირველადი დახმარების მოწყობილობებით „საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების“ პირობების შესაბამისად;
გ) შეძლებენ წყალმომარაგების სისტემების სათანადო ექსპლუატაციას, შენახვას, მომსახურებასა და შეცვლას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

მუხლი 11.6 „მყიდველი“ ზოგადი ვალდებულებები
11.6.1 თბილისთან მიმართებაში
(ა) წყლის ხარისხი მუდმივად შეესაბამებოდეს „ჯანმოს“ ტექნიკურ რეგლამენტს, მაგრამ არ იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი (დანართი №6);
(ვ) ქალაქი ძველი საზღვრების ფარგლებში (2006 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც ნაჩვენების წინამდებარე ხელშეკრულების №4 დანართში) 2011 წლიდან და შემდეგ უწყვეტად 24 საათის განმავლობაში მომარაგდეს წყლით, მაგრამ 2011 წლამდე არ იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი დანართი №7 შესაბამისად;
(ზ) ქალაქის ახალი საზღვრების (როგორც ნაჩვენებია წინამდებარე ხელშეკრულების №5 დანართში)

ფარგლებში 2015 წლიდან და შემდგომში იყოს უწყვეტად 24-საათის განმავლობაში მომარაგდეს წყლით, მაგრამ 2015 წლამდე არ იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი;
(თ) არა უგვიანეს 2012 წლისათვის ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში აღმოიფხვრილ იქნეს კანალიზაციის ჩადინება მდ. მტკვარში;

11.6.2 შპს „საქწყალკანალთან" მიმართებაში
(ა) გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 წელიწადში;
(ბ) გარდაბნის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია და ახალი საკოლექტორო სისტემა შეიქმნას ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის ვადაში;

11.6.3 მცხეთასთან მიმართებაში
(ე) წყლის ხარისხი მუდმივად შეესაბამებოდეს „ჯანმოს" ტექნიკურ რეგლამენტს, მაგრამ არ იყოს მცხეთაში დღეს არსებულზე უარესი დანართი №6 შესაბამისად;
(ვ) მცხეთა 2011 წლიდან და შემდგომში უწყვეტად (24 საათიანი) მომარაგდეს წყლით, მაგრამ 2011 წლამდე არ იყოს მცხეთაში დღეს არსებულზე უარესი დანართი №7 შესაბამისად.

ზემოაღნიშნული პირობები გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის) კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას და იმავე კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის; აგრეთვე, ეს არის ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ რომლებიც აუცილებლად იქონიებს გავლენას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და რომლის გასაიდუმლოებაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის ა) პუნქტის თანახმად, დაუშვებელია.

4. საფუძველს მოკლებულია და არ უნდა იქნეს გაზიარებული სასამართლო დასკვნა მასზედ, რომ ხელშეკრულების დანართებში წარმოდგენილ საჯარო ინფორმაციას აქვს მყიდველისათვის კომერციული ღირებულება.კერძოდ:

დანართი 1.
წამოდგენილია ისეთი ზოგადი ინფორმაცია შპს „თბილისის წყლის", შპს „რუსთავწყალკანალის", შპს „საქწყალკანალის" და შპს „მცხეთაწყალკანალის", როგორიცა: სარეგისტრაციო ნომერი, რეგისტრაციის თარიღი და ადგილი, ოფისის მისამართი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, პარტიორის შესახებ ინფორმაცია - ყველა ის მონაცემი, რომელიც მოთხოვნის გარეშე ხელმისაწვდომი იყო გაყიდვამდე და გაყიდვის შემდეგაც ხელმისაწვდომია საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე.

დანართი 3.
მოიცავს სახელმწიფოს მიერ გასხვისებული აქტივების ჩამონათვალს - ეს ინფორმაცია მოთხოვნის საფუძველზე ხელმისაწვდომია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

დანართი 4. თბილისის რუკა (ძველი საზღვრები) და დანართი 5. თბილისის რუკა (ახალი საზღვრები). გაუგებარია რა ნორმით სარგებლობდა სასამართლო როდესაც ამტკიცებდა, რომ „ქ. თბილისის რაიონების საზღვრების დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 22 იანვარის 1-6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული და გამოქვეყნებული ტოპოგრაფიული რუკა შეიძლება წარმოადგენდეს „ჯორჯიან გლობალ უთილითი ლიმითედის" კომერციულ საიდუმლოებას.

დანართი 6. წარმოდგენილია ინფორმაცია თბილისში და მცხეთაში წყლის ხარისხის შესახებ - ანუ ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.

დანართი 7. წარმოდგენილია ინფორმაცია თბილისის და მცხეთი წყალმომარაგების ხანგრძლივობისა და გრაფიკის შესახებ. ეს ინფორმაციაც არ შეიძლება წარმოადგენდეს ვინმეს კომერციულ საიდუმლოებას, რადგან ასახავს მოქალაქეების წყალზე ხელმისაწვდომობის მდგომარეობას.

დანართი 8.
წარმოდგენილია შპს თბილისის წყლის ბალანსზე რიცხული ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების ჩამონათვალი - ეს ინფორმაციაც მოთხოვნის საფუძველზე ხელმისაწვდომია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

დანართი 9.
საბანკო გარანტია და მისი გამოყენების წესი
წარმოდეგნილია ინფორმაცია თუ როგორც იქნება გამოყენებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით „მყიდველის“ მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია, ანუ რა ღონისძიებებს მიმართავენ სახელმწიფო უწყებები მყიდველის მიერ ისეთი გარემოსდაცვითი ვალდებულებების შეუსრულებლობის დროს, როგორებიცაა:

(ა) ქ. თბილისის ძველი ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში უწყვეტი, 24 საათიანი წყალმომარაგების ვალდებულება;
(ბ) ქ. თბილისის ახალი ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში უწყვეტი, 24 საათიანი წყალმომარაგების ვალდებულება;
(გ) ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდინარე მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრის ვალდებულება;
(დ) ქ. თბილისში წყლის ხარისხის „ჯანმოს“ ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის ვალდებულება;
(ვ) ქ. მცხეთის უწყვეტი, 24 საათიანი წყალმომარაგების ვალდებულება;
(ზ) გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია და მოდერნიზაციის ვალდებულება;
(თ) გარდაბნის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციისა და ახალი საკოლექტორო სისტემის შექმნის ვალდებულება;
(ი) ქ. მცხეთაში წყლის ხარისხის „ჯანმოს“ ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის ვალდებულება.

ამდენად, მე-9 დანართში წარმოდგენილი ინფორამაციაც გარემოსდაცვითია.

5. სასამართლომ არასწორად განმარტა ხელშეკრულების მუხლი 14.1 თანახმად, „არც ერთი მხარე არ გააკეთებს განცხადებას „წილის“ ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარეების წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე“. აღნიშნული მუხლი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ტექსტის გასაიდუმლოების შესახებ. აღნიშნულ მუხლში წარმოდგენილი შეზღუდვა ეხება წილის გასხვისების შესახებ განცხადებას. ამასთან, ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები ინფორმაციის საიდუმლოებაზე მიტუმეტეს კომერციული საიდუმლოებაზე.

გარდა ამისა, ხელშეკრულების მუხლი 14.1. - ში აღნიშნულია: „14.2 პუნქტის გათვალისწინებით, არც ერთი მხარე არ გააკეთებს განცხადებას „წილის“ ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარეების წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე“.

ხელშეკრულების 14.2 მუხლის თანახმად, კი „ორივე მხარე უფლებამოსილია გააკეთოს განცხადება „წილის“ ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ, თუ ეს მოეთხოვება. 14.2.1. სათანადო იურისდიქციის მქონე კანონმდებლობით.

იმის გათვალისწინებით, რომ რომ დოკუმენტი წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას და შეიცავს ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ (ანუ ინფორმაციას რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია), ამასთანავე არ არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება დოკუმენტის

კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დოკუმენტი არის საჯარო და ხელშეკრულების 14.2 მუხლის თანახმად, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უფლებამოსილი იყო დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა ხელშეკრულების ასლის მოწოდების თაობაზე.

6. საფუძველს მოკლებულია და არ უნდა იქნეს გაზიარებული სასამართლოს მოსაზრება მასზედ, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი გვექნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარით აპელანტს უკანონოდ მიადგებოდა პირდაპირი და უშუალო ზიანი; მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხარემ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, სათანადოდ ვერ მოახდინა მტკიცების ტვირთის რეალიზება, შესაბამისად, მოთხოვნა დაუსაბუთებელია და ვერ გახდება მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. პირდაპირი და უშუალო ზიანის არარსებობა სარჩელის დასაშვებობის წინაპირობაა, რომლის არარსებობის გამო სარჩელი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული და შეწყდეს საქმის წარმოება.

7. სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე სასამართლოს, თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია ცალკეული მტკიცებულებები არასარწმუნოდ მიიჩნიოს და არ გაიზიაროს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა აისახოს სასამართლო რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა. არც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით და არც სააპელაციო სასამართლოს განჩინებით გამოკვლეული და შეფასებული არ ყოფილა სარჩელში, ახსნა-განმარტებაში, სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ზემოაღნიშნული გარემოებები, რის გამოც საქმეზე გამოტანილია დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილებები, რომლებიც ექვემდებარება გაუქმებას.

°°°°°°°°°

პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-15 შენიშვნა-16

1. პრეტენზია
დასაბუთება:
2. პრეტენზია
დასაბუთება:
3. პრეტენზია
დასაბუთება:

შუამდგომლობები

შენიშვნა-17 შენიშვნა-18

1. მოთხოვნა
არგუმენტაცია:
2. მოთხოვნა
არგუმენტაცია:

საჩივრის ფასი	—	**არაქონებრივი ლარი**
სახელმწიფო ბაჟი	—	**300 ლარი**

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?		დიახ ☐	არა ☐
რომელი ნორმა?			
მტკიცებულება:			
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?		დიახ ☐	არა ☐
რის საფუძველზე?			
მტკიცებულება:			
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?		დიახ ☐	არა ☐
რის საფუძველზე?			
მტკიცებულება:			
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?		დიახ ☐	არა ☐
რის საფუძველზე?			
მტკიცებულება:			

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე (მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სსკ-ის 53-ე და 54-ე მუხლების თანახმად, როგორ უნდა განაწილდეს სასამართლო ხარჯები. თქვენი გაანგარიშება სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ).

5.

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- სასამართლო ხარჯები;
- სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?		
დიახ	☒	მორიგების პირობები: მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის პირობით
არა	☐	რადგან

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-23

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	14:00 - 18:00

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-24 შენიშვნა-25

დანართი 1: საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებელი ხელშეკრულება დანართებით - 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) ფურცელი; დანართი 2: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 (ორი) ფურცელი. დანართი 3: წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელი რწმუნებულება 1 (ერთი) ფურცელი; დანართი 4: სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. 1 (ერთი) ფურცელი.
ფურცლების საერთო რაოდენობა — 103

საკასაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ საკასაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მისი მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ საკასაციო საჩივარი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☐	☒
5.	მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	☒	☐
6.	მითითებულია, თუ გადაწყვეტილება რა ნაწილშია გასაჩივრებული.	☒	☐
7.	მითითებულია საკასაციო მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია საკასაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	საკასაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი.	☒	☐
10.	საკასაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	საკასაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ საკასაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
12.	საკასაციო საჩივარი ხელმოწერილია.	☒	☐
13.	საკასაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

საკასაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	საკასაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:	ხელმოწერა	სახელი და გვარი
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

ატვირთვის ბმული: http://tbappeal.court.ge/sf | http://tbappeal.court.ge/sf

შენიშვნა-26

საიდენტიფიკაციო ნომერი:

შენიშვნა-27

შენიშვნა-28 *ელ. ფოსტა:* *3rd.instance@court.ge* ☐

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ნინო გუჯარაიძე	04/02/2011 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შენიშვნა-29